საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (შემდგომში - ცენტრი) აცხადებს კონკურსს ცენტრსა და გაეროს განვითარების პროგრამას შორის 2016 წლის 20 ივლისს ხელმოწერილი სტანდარტული შეთანხმების წერილით გათვალისწინებული პროექტის - „საქართველოში სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სისტემების გაფართოება და პროფესიული განათლების მოდერნიზაცია“ - ფარგლებში კოორდინატორის ასისტენტის **შერჩევის მიზნით**

კონკურსი ცხადდება **2017 წლის 04 იანვარს** და განცხადებების წარდგენის **ბოლო ვადაა 2017 წლის 09 იანვრამდე.**

კონკურსში მონაწილე კანდიდატმა წერილის სათაურის ველში აუცილებლად უნდა მიუთითოს ვაკანსიის დასახელება **„კოორდინატორის ასისტენტი“,** წინააღმდეგ შემთხვევაში არ მოხდება განაცხადის განხილვა.

ადგილების რაოდენობა **- 1**;

კონკურსის შედეგად, კოორდინატორის ასისტენტის თანამდებობაზე შერჩეულ პირთან გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულება ცენტრის დირექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით წარმოშობილ შრომით ურთიერთობებზე და ამ ვადის განმავლობაში მისი შრომის ანაზღაურება განისაზღვროს თვეში 1345 ლარის ოდენობით.

კოორდინატორის ასისტენტის თანამდებობის მიმართ დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:

ა) აკადემიური უმაღლესი განათლება - ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;

ბ) ინგლისური ენის სრულყოფილად ფლობა;

გ) მსგავსი ტიპის სამუშაოების შესრულების გამოცდილება/სტაჟირება/პრაქტიკა.

კოორდინატორის ასისტენტის მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერა:

ა) პროექტის ფარგლებში დაგეგმილი შეხვედრებისა და პროექტის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების ორგანიზება და შესაბამისი ოქმების შედგენა;

ბ) პროექტის ფარგლებში წამოჭრილ ცალკეულ საკითხებთან (საკადრო, სამართლებრივი, ფინანსური და სხვ.) დაკავშირებით ცენტრის შესაბამის სამსახურებთან კომუნიკაცია;

გ) დონორ ორგანიზაცისთან (გაეროს განვითარების პროგრამა) კომუნიკაცია და პროექტში მიმდინარე პროცესების შესახებ მისი ინფორმირება;

დ) პროექტის კომპონენტების სამოქმედო გეგმების შესრულების კონტროლი, კომპონენტების ხელმძღვანელებთან აქტიური თანამშრომლობა, მათგან შესაბამისი ინფორმაციის მიღება-დამუშავება და შეთანხმების კოორდინატორისათვის მიწოდება;

ე) პროექტის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის შესახებ ყოველთვიური და კვარტალური ანგარიშების მომზადება (ქართულად და ინგლისურად);

ვ) შეთანხმების კოორდინატორის ცალკეული დავალებების შესრულება, რაც უკავშირდება პროექტის ფარგლებში შესასრულებელ სამუშაოებს.

კონკურსში მონაწილე კანდიდატმა ცენტრის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე, info@eqe.ge აუცილებლად უნდა გამოგზავნოს:

ა) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
ბ) ავტობიოგრაფია - (CV) ქართულ ენაზე;
გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

კონკურსი ჩატარდება 2 ეტაპად:
ა) განცხადებების გადარჩევა;
ბ) გასაუბრება.